BUXI HESI

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სს „ბუქსი ჰესი“ -ს (ს/კ 441996770) დირექტორის
ბატონი ფლავიო ანდრეოლი ბონაზის

29/03/2022

სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუქსიეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე გუბაზეულზე მოწყობილია ბუქსი ჰესი.

ჰესი ექსპლუატაციაშია 2017 წლიდან, ჰესის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 1.99 მგვტ-ს და ჰესის მიერ ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება 15.1 მილიონი კვტ/საათის ფარგლებშია. ბუქსი ჰესი წარმოადგენს დერივაციული ტიპის ჰესს, რომელიც შედგება შემდეგი ძირითადი კვანძებისაგან: ჰესის სათავე წყალმიმღები კვანძი, სადერივაციო უდაწნეო გვირაბი, სადაწნეო მილსადენი, სააგრეგატე შენობა და გამყვანი ტრაქტი.

სათავე წყალმიმღები კვანძის შემადგენლობაში შედის, მდინარის კალაპოტის მარჯვენა ნაწილში განთავსებული ბეტონის დაბალდაწნევიანი, გრავიტაციული, წყალსაშვიანი კაშხალი. მაქსიმალური შეტბორვის შემთხვევაში შეტბორვის მოცულობა დაახლოებით 35 000 $м^3$-ია. ჰესის შენობის ტერიტორიაზე წარმოქნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო (საკანალიზაციო) წყლების გაწმენდის მიზნით ტერიტორიაზე მოწყობილია ბიოლოგიური გაწმენდი ნაგებობა. საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის (ზოგადი დებულებანი) მოთხოვნების მიხედვით: გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშს. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობებს მიეკუთვნება: პუნქტი 9.9. კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის/მოწყობილობის მშენებლობა, რომლის მშენებლობა მიზანშეწონილია წყლის შეკავების ან წყლის გრძელვადიანი დაგროვების მიზნით და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 10 000 $м^3$-ზე მეტია და პუნქტი 10.6. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურების გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

სს „ბუქსი ჰესი“ -ს დირექტორი

ფლავიო ანდრეოლი ბონაზი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 7350
30 03 2022
02